

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №24

29 სექტემბერი, 2017 წელი

ქ. ახმეტა

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ.წითელაური, ბ.ჭიჭივლიშვილი, გ.ქიტესაშვილი  
ზ. გარსევანიძე, მ.ალხანაშვილი, გ.მაისურაძე,  
თ.ბოდაველი, ი.უჯირაული, ნ.აბალოიძე  
რ.ბალავაშვილი, ა.შათირიშვილი

სხდომა გაიხსნა 11<sup>თ</sup> სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო  
დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

- „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა  
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №57 დადგენილების  
ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;  
/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/
- „ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-  
საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ახმეტის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N20 განკარგულების  
ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;  
/მომხსენებელი - თეონა ნანობაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, სოფელ დუისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო სარგებლობის (აღნაგობა) უფლებით გაცემაზე თანხმობის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნ. წილის აარპ “თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის” პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ახმეტაში, გ. ჭანტურიას ქ N1 (ყოფილი ლესელიძის ქ) მდებარე ახმეტის კულტურის სახლის (საკადასტრო კოდი 50.04.43.114) პირველ სართულზე არსებული 216,7 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართის სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსათვის უვადო სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, სოფელ დუისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (აღნაგობა) უფლების გაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - მზია ბექაური/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითშმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №57 დადგენილების მაღადავარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს წევრებს:  
2017 წლის 1 ივლისიდან ძალადავარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი და მის საფუძველზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე აქტები.

კანონმა და მის საფუძველზე გამოცემულმა კანონქვემდებარე აქტმა--„საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204-ე დადგენილებამ განსხვავებულად განსაზღვრა საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი.

ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის მაღადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში მაღადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული ჯტის შესაბამისი ნაწილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N20 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ სამართლებრივი აქტი შეუსაბამოა საჯარო სამსახურის შესახებ ახალ კანონთან და შესაბამისად უნდა გაუქმდეს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა საკითხი: 8 - მომხრე;

## 2 - კენჭისყრაში

მონაწილეობა არ მიიღო.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, სოფელ დუისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო სარგებლობის (აღნაგობა) უფლებით გაცემაზე თანხმობის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს: სოფელ დუისში მდებარე, 90 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 50.05.34.261) გადაეცემა ააიპ შშმ პირთა დღის ცენტრს „მედინა -2015“-ს (მომართვა N 2847 24.07.2017 წელი) დღის ცენტრის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამატებითი ნაგებობების განთავსებისათვის. მუნიციპლიტეტის ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვრება - 2 (ორი) წლის ვადით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა საკითხი, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილის ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ილია ჭავჭავაძის N103-ში (ყოფილი სტალინის ქუჩა) ს/კ 50.04.42.103 მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 59.2კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის ააიპ „თუშეთის დაცულ ლანდშაფტს“.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ახმეტაში, გ. ჭანტურიას ქ N1 (ყოფილი ლესელიმის ქ) მდებარე ახმეტის კულტურის სახლის (საკადასტრო კოდი 50.04.43.114) პირველ სართულზე არსებული 216,7 კვ. მ. არასაცხოვრებელი ფართის სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსათვის უვადო სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, სოფელ დუისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (აღნაგობა) უფლების გაცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს. აღნიშნა, რომ განცხადება აღნიშნული ფართის განკარგვაზე დარეგისტრირებულია საკრებულოს წევრის რამაზ ბალაკაშვილის სახელზე.

რამაზ ბარაკაშვილის ინიციატივით საკითხი დაბრუნდა ხელმეორედ შესწავლისათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11<sup>45</sup> საათზე.



თამარ ყეინიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე: